

ქ.თბილისი

2018 წლის 19 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 19 ნოემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის, თანამსაჯების გ. ლემონჯავასა და თ. ბუაჩიძის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 9 ნოემბერს, ჭაბუკთ „ა“ ლიგის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი/ხულიგანა“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლოკომოტივი - ხულიგანა“-ს მორაგბე ბაჩანა მეზონია - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „ლოკომოტივი - ხულიგანა“-ს მორაგბე ნიკოლოზ ქარდავა - მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლა წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობის მიზნით.
3. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე ირაკლი ჯანაშია - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
4. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე დაჩი მისრიაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
5. კონფლიქტის დროს ორივე გუნდის სათადარიგო მოთამაშეები და გულშემატკვირები შევიდნენ სათამაშო მოედანზე და ჩაერთვნენ კონფლიქტში. მსაჯთა ბრიგადის გადაწყვეტილებით თამაში ჩაიშალა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.18, 2.2.7, 2.2.8, 2.2.9 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1-ის 1.17, 2.7, 2.8, 2.9 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი - ხულიგანა“-ს მორაგბე ბაჩანა მეზონია დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ლოკომოტივი - ხულიგანა“-ს მორაგბე ნიკოლოზ ქარდავა დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 100(ასი) ლარით.
3. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე ირაკლი ჯანაშია დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.

4. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე დაჩი მისრიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) კვირით.
5. თბ „ლოკომოტივი - ხულიგანა“-ს ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
6. მარნეულის „არმაზს“ ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
7. კლუბების მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.17 პუნქტი და თბ „ლოკომოტივი-ხულიგანა“-სა და მარნეულის „არმაზს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა თითოეულს.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/